



MES 0 21 0000631309



25/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 11.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:55სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანესიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

5. **ელენეჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ანზორბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგიღალანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეყერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III, IV, V,
2.	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი.	I, II, III,
3.	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I, II, III,
4.	ანზორ აბშილავა		სამთო -გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.	I, II, III,
5.	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	I, II, III,
6.	ნოდარ ფოფორაძე		სტუ-ის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი	
7.	მარინე მარდაშოვა		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოლოგია“ ხელმძღვანელი	I, II, III,
8.	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	IV
9.	ქეთევან კოტეტიშვილი		სტუ-ის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV
10.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიასახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V, VI
11.	დიმიტრი ჯაფარიძე		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	V, VI

12.	გიორგი ხიმშიაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
13.	მერაბ სვანაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
14.	ვახტანგ ბალავაძე		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	V, VI
15.	გიორგი ცხვედიანი	შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი	ვიცე რექტორი	VII
16.	ლეილა ახვლედიანი		მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VII
17.	ანი ქვათაძე		დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ლექსო ტორიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	კახა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	რევაზ შანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	მაია მანჭკავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
13	გიგი გიომეილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
14	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N491, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მეტალურგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი მეტალურგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მექანიკა და ლითონის საქმე/დამუშავება 0715
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქუჩა, N 69 ა, თბილისი X-ე სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის „მეტალურგია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22,23 აპრილს ეგრედ წოდებულ ჰიბრიდულ რეჟიმში. მატერიალურ - ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ში. აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი იყო 1 საბაკალავრო, 1 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა სამივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. სამივე საფეხურის პროგრამების ერთდროულად განხილვამ ექსპერტებს საშუალება მისცა შეეფასებინათ ისინი, როგორც მეტალურგიაში უმაღლესი განათლების მიღების ერთი სისტემის ნაწილები, დაენახათ საუნივერსიტეტო განათლების საფეხურებს შორის ლოგიკური კავშირი და განვითარება. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ შედგა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგებში აისახოს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/აგრეგატებზე;
2. გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს დაკავშირებული: შავი და ფერადი მეტალურგიის მანქანების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდებთან, მანქანების პროექტირების თანამედროვე სისტემებთან, ლითონის პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საფუძვლებთან;
3. სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას თემები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნის მიღწევას, დაკავშირებულს გამოთვლითი-საპროექტო სამუშაოების შესრულებასთან თანამედროვე დონეზე;
4. მაგისტრატურის დებულებაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაში გათვალისწინებული იქნას პლაგიატზე შემოწმება;
5. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოხდეს მატერიალური რესურსების განახლება, სრულყოფა და მოდერნიზება;
6. მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესის განმახორციელებელი რეგულაციების შესრულება განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობის მიმართულებით;
7. პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების შესაბამის პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ყველა ის ცოდნა და უნარი, რომელსაც კურსდამთავრებული შეიძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. მათ შორის სწავლის შედეგებში მოცემულია მეტალურგიული წარმოების მანქანებთან/აგრეგატებთან დაკავშირებული კომპეტენციები, მაგ: განმარტავს -მეტალურგიული პროცესების მიმდინარეობისას ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთდამოკიდებულებებს და მათ გავლენას მიღებული პროდუქტის ხარისხზე; ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისა და დანადგარების მუშაობის რეჟიმს, რეგლამენტს და მისი კონტროლის ღონისძიებებს. ირჩევს-თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებს, შავი და ფერადი ლითონების, სპეციალური ფოლადების წარმოების მეტალურგიული პროცესების მართვისას. შესაბამისად, დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება .

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეტალურგიის ძირითადი აგრეგატი არის ღუმელი და მისი პროექტირების, თბური მუშაობის გაანგარიშება, თბური პროცესების ანალიზი და მართვა გათვალისწინებულია სასწავლო კურსში „ღუმლების ზოგადი თეორია და პროექტირების საფუძვლები“, რომელშიც განხილულია შავი და ფერადი მეტალურგიის ღუმლების საერთო ზონები და კვანძები, ხოლო განსხვავებული მხარეები ახსნილია კონკრეტული ლითონის დნობის ტემპერატურის მიხედვით.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ელექტრული ღუმლების კონსტრუქციის, კაზმის შედგენილობის, თბური ბალანსის გათვლისთვის, გათვალისწინებულ პროგრამის რამდენიმე საგანში: ფოლადსადნობი პროცესების და სისტემების თეორია, მეცნიერული კვლევის მეთოდები მეტალურგიაში, ღუმლების ზოგადი თეორია და პროექტირების საფუძვლები, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიები და მოწყობილობა

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ არსებული მდგომარეობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნის განხორციელებას და სწავლის შედეგის სრულად მიღწევას. თუმცა უნივერსიტეტის და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მხრიდან უწყვეტად ხორციელდება მატერიალური რესურსის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის გასაუმჯობესებელ მხარეში ასახულია მატერიალური რესურსის პერიოდული განახლება, რაც თანმდევი პროცესია პროგრამის განხორციელების პროცესის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას მეტალურგიის საკითხების ასახვას სწავლის შედეგებში წევრი დაინტერესდა არის თუ არა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მოცემული საკითხები. საბჭოს წევრმა ასევე გამოყო მე-2 რეკომენდაციის და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, რეკომენდაციებში მითითებული თემების გარეშე გადის თუ არა პროგრამა სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა პროგრამის კრედიტების გაანგარიშებასთან დაკავშირებით, კერძოდ კურიკულუმში სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულია 45 კრედიტი, თუმცა არ არის მოცემულ საკონსულტაციო საათების რაოდენობა. აღსანიშნავია ასევე, რომ სასწავლო პრაქტიკას ეთმობა მხოლოდ 5 კრედიტი, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სტუდენტმა საწარმოში მეტი დროს გაატაროს. გარდა ამისა, არჩევითი საგნებისთვისაც მხოლოდ 5 კრედიტია გამოყოფილი. პროგრამაში ასევე არ არის მოცემული სამეცნიერო წერის საკითხები, რაც სტუდენტს ეხმარება უშუალოდ ნაშრომის დაწერაში.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დაინტერესდა თუ რატომ არის პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დაბალი მაჩვენებელი და რითი არის გამოწვეული პროგრამის მიმართ ნაკლების ინტერესი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებისთვის, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად შეძლებენ სტუდენტები პროგრამაზე სწავლას და რამდენად დაძლევადი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა იკითხა თუ რითი არის განპირობებული სამაგისტრო ნაშრომისთვის 45 კრედიტის განსაზღვრა. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტთა რაოდენობით და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხთან მიმართებით განემარტათ თუ რამდენი სტუდენტი არის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე და რამდენი აგრძელებს კვლავ სწავლას სამაგისტრო პროგრამაზე. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რა გეგმები აქვს დაწესებულებას პროგრამის პოპულარიზების მიზნით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-3 რეკომენდაცია და დააზუსტა, რომ მოცემული რეკომენდაციის მიხედვით არ ხდება ამ ეტაპზე სწავლის შედეგებზე გასვლა და შესაბამისად, თუ არ მოხდა რეკომენდაციის გათვალისწინება და შესრულება შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით იქნება ხარვეზი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია 2 დაწესებულება და 9 რესპოდენტი, თუმცა არ არის მოცემული რომელ ორგანიზაციებზეა საუბარი. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. რაც შეეხება ბიუჯეტს, მოცემულია მხოლოდ ფაქულტეტის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე გამოყო „სამეწარმეო და ტექნოლოგიური ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და აღნიშნა, რომ აუცილებელი სასწავლო კურსს ჰქონდეს წინაპირობა და მასში მოცემული იყოს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია განსაზღვრულია იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საბოლოო პროდუქციის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები და მანქანებისა და მოწყობილობის თემები ასახული იყოს სწავლის შედეგებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ცალსახად უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებს და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკას, რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ასახავს შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს. თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილია სამიზნე ნიშნული.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნული გულისხმობს საპროექტო სამუშაოებისათვის კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას. მოცემული კი აქტუალური იქნება წინაპირობიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამისთვის ბიუჯეტის საბოლოო ფორმატი უკვე გათვალისწინებულია და მასში მოცემულია ყველა აუცილებელი საკითხი. აღსანიშნავია, რომ მეტალურგია წარმოადგენს დაფინანსებულ მიმართულებას.

რაც შეეხება „სამეწარმეო და ტექნოლოგიური ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს, დაწესებულება სრულიად იზიარებს საბჭოს წევრთა რჩევებსა და რეკომენდაციებს საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მაგისტრანტის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი საათები, რომელიც წელიწადში შეადგენს 70 საათს. მოცემული საათების ფარგლებში ხდება ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტების კონსულტირება.

დაწესებულება სრულიად იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებას აკადემიური წერის საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია „აკადემიური წერის საფუძვლების“ სასწავლო კურსი.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დამსაქმებლებს, ისინი წარმოადგენენ საკმაოდ ცნობილ და წამყვან საწარმოებს, როგორებიც არიან: ზესტაფონის ფეროდ შენადნობი ქარხანა, რუსთავის აზოტი, ჯეო სტილი და სხვა. თავად საწარმოების მხრიდან არის ძალიან დიდი დაინტერესება და დაწესებულებაც მუდმივად თანამშრომლობს მათთან.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს სტუდენტთა რაოდენობა, კერძოდ საინჟინრო მეცნიერებებმა, მას შემდეგ რაც განხორციელდა ცვლილებები საკმაოდ დაკარგა პოპულარობა სტუდენტებს შორის. თუმცა დღეის მონაცემებით ბაკალავრის საფეხურზე სწავლობს 25-28 სტუდენტი. რაც არის კარგი წინაპირობა იმისათვის, რომ სტუდენტებმა შემდეგ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო საფეხურზე და შესაბამისად გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა, ბუნებრივია, წინაპირობაში მოცემულია რომ პროგრამაზე დაიშვებიან სხვა მიმართულებების წარმომადგენლებიც. დაწესებულება სხვა სპეციალობის სტუდენტებს თავაზობს კურიკულუმსა და დამატებით კონსულტაციებს, თუმცა მთავარია სტუდენტები იყვნენ მოტივირებულები, რათა შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა.

დაწესებულება მუდმივად ცდილობს ინტერესისა და ცნობიერების ამაღლებას პროგრამის შესახებ. უნივერსიტეტის თანამშრომლობს სკოლებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მიმდინარე პროცესებზე დასწრებას, რაც მათთვის განსაკუთრებით საინტერესოა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დააზუსტა პლაგიატის საკითხი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მისი განმარტებისკენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის მოცულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაო თავისი მოცულობით საკმაოდ დიდია. ნაშრომი მოიცავს დაახლოებით 65-70 გვერდს. შესაბამისად, ის მოითხოვს დიდი რაოდენობითა და მოცულობით ექსპერიმენტების განხორციელებას.

რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, დაწესებულება სადოქტოროსთან ერთად უკვე ატარებს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას. აღნიშნული ასევე მითითებულია მაგისტრატურის დებულებაშიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00

დასრულების დრო: 15:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგი სახით:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული შეფასება, კერძოდ 2.1 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორ „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. სწავლის შედეგებში აისახოს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/აგრეგატებზე.
2. დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა, რაც უზრუნველყოფს შესაბამის საფეხურზე სწავლის შედეგების მისაღწევად
3. პროგრამას დაემატოს სამეცნიერო წერის სტანდარტების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსი
4. გაიზარდოს საწარმოო პრაქტიკისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები/კრედიტების მოცულობა
5. გადაიხედოს კვლევითი კომპონენტის კრედიტების მინიჭების საკითხი სასწავლო კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით.
6. მაგისტრატურის დებულებაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაში გათვალისწინებული იქნას პლაგიატზე შემოწმება;
7. შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლების სამოქმედო გეგმა შესაბამისი ვადების მითითებით

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს დაკავშირებული: შავი და ფერადი მეტალურგიის მანქანების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდებთან, მანქანების პროექტირების თანამედროვე სისტემებთან, ლითონის პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საფუძვლებთან
2. სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას თემები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნის მიღწევას, დაკავშირებულს გამოთვლითი-საპროექტო სამუშაოების შესრულებასთან თანამედროვე დონეზე;
3. სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანა/მოწყობილობებს;
4. სასურველია სპეციალური სასწავლო კურსების სილაბუსებში მიენიშნოს დაშვების წინაპირობები;
5. სასურველია სასწავლო კურსში მეცნიერული კვლევის მეთოდები გაიზარდოს საათების რაოდენობა თემის „კომპიუტერული ტექნიკა მეცნიერულ კვლევაში, მეტალურგიული პროცესების თერმოდინამიკური ანალიზი“ შესწავლისათვის; სასურველია სასწავლო კურსის „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). სილაბუსებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე მეტი ყურადღება დაეთმოს დარგთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას.

6. სასურველია სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვროს ინოვაციები და მეწარმეობის საკითხები.
7. სასურველია პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები
8. სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პერიოდულად, დარგობრივი ორგანიზაციების ჩართულობით;
9. პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების შესაბამის პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
10. სასურველია მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით გადაიხედოს კითხვების ფორმულირება;
11. დამსაქმებლების გამოკითხვისას სასურველია მითითებული იყოს თუ რომელი ორგანიზაციები გამოიკითხა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N557, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასალათმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მექანიკა და ლითონის საქმე 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქუჩა, N 69 ა, თბილისი X-ე სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 28 და 29 აპრილს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 29 აპრილს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციურად. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის მასალათმცოდნეობის მიმართულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის

დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველსტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობაში გათვალისწინებული იქნას ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება;

3. სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსი. სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსი პლასტიკურობის თეორია გადატანილი იქნას პირველ სემესტრში;

4. ჩასწორდეს დაშვების წინაპირობები კურსების სილაბუსებში „მილგლინვის ძალოვანი პარამეტრების ანგარიში“ და „მილსაგლინავი დგანების ძირითადი კვანძების ანგარიში“;

5. სასწავლო გეგმაში სასწავლო პრაქტიკის ნაცვლად გათვალისწინებული იქნას საწარმოო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მზადების პროცესში განიხილებოდა კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსის დამატება. დაწესებულება აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას და კურსის სრულყოფილად მომზადებისთანავე განვიხილავთ მისი დამატების საკითხს. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „პლასტიკურობის თეორიის“ აუცილებელ დაშვების წინაპირობას წარმოადგენს „მეტალოგრაფია“, რომელიც ასევე ისწავლება პირველ სემესტრში. შესაბამისად, ერთ სემესტრში ამ ორი სასწავლო კურსის სწავლება არ არის შესაძლებელი.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიან უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში, საწარმოს პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი დაღანიძემ აღნიშნა, რომ თუ პროგრამის ფარგლებში არს ისწავლება კომპოზიტები და პოლიმერები და ისწავლება მხოლოდ ლითონები, სრულიად პროგრამის დასახელება არასწორია.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მეტალურგიის სამაგისტრო პროგრამასა და მოცემულ პროგრამაში წარმოდგენილია იდენტური სამაგისტრო ნაშრომი. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ასევე მოცემულია 2 დამსაქმებელი და 9 რესპოდენტი. შესაბამისად, საბჭოს წევრისთვის გაუგებარია ორ განსხვავებულ პროგრამაზე ერთი და იმავე შრომის ბაზრის კვლევით და დამსაქმებლებით შედეგზე გასვლა. მისი ვენელოვანია ასევე, რომ ბიუჯეტი საჭიროებს დეტალურ გაწერას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ რჩევებში მოცემულია ორი სასწავლო კურსი, რომლებიც საჭიროებენ საბაკალავრო პროგრამაზე გადასვლას. შესაბამისად დააზუსტა რამდენად წარმოადგენს მოცემული რჩევას და არა რეკომენდაციას, იმის გათვალისწინებით რომ არის შეუსაბაობა სამაგისტრო საფეხურთან.

საბჭოს წევრმა ასევე გამოყო „სასწავლო პრაქტიკის“ სილაბუსი და დაინტერესდა მხოლოდ სათაურის ცვლილება იქნება თუ არა საკმაისი იმისათვის, რომ სილაბუსი იყოს რელევანტური.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა თუ რა მექანიზმები არის გათვალისწინებული იმისთვის რომ გაიზარდოს ბაკალავრების ინტერესი სამაგისტრო პროგრამის მიმართ.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხიძემ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო გამოცდის გარდა ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტს მოეთხოვება სპეციალობის გამოცდის ჩაბარება. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ რამდენად მოახდენს მოცემული გამოცდა თავისი შინაარსტა და ფორმატით შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონდე პირების ჩარიცხვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მასალათმცოდნეობა საკმაოდ მულტიდისციპლინარული დარგია და შესაბამისად მიღების წინაპირობები ლერევანტურია. რა თქმა უნდა ყველა სტუდენტთან ხდება გასუაბრება და მათი ცოდნის შემოწმება.

რაც შეეხება საგნების გადატანის საკითხს, ბაკალავრიატში სილაბუსებით გათვალისწინებული თემები მოცემულია არა ერთი სრული საგნის, არამედ სხვადასხვა სასწავლო კურსებში თემების სახით. შესაბამისად, უმჯობესი იქნება სასწავლო კურსების ბაკალავრის პროგრამაში გადატანა, რითაც განთავისუფლებდოდა სამაგისტრო საფეხურზე ადგილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც ამ ეტაპისთვის არ არის გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბოლო წლებში ის ორგანიზაციები, სადაც დაწესებულებას პრაქტიკები უნდა განეხორციელებინა ფაქტობრივად იყო გაჩერებული. ინსტიტუციას აქვს შესანიშნავი ლაბორატორიები, სადაც სტუდენტი გადის ყველა ტექნოლოგიურ პროცესს. შესაბამისად, სასწავლო პრაქტიკა სწორედ ამ საფუძვლით იყო განპირობებული. პროგრამის მზადების პროცესში განიხილებოდა კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსის დამატება. დაწესებულება აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას და კურსის სრულყოფილად მომზადებისთანავე განვიხილავთ მისი დამატების საკითხს. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „პლასტიკურობის თეორიის“ აუცილებელ დაშვების წინაპირობას წარმოადგენს „მეტალოგრაფია“, რომელიც ასევე ისწავლება პირველ სემესტრში.

მოცემულმა საგანმანათლებლო პროგრამამ ასევე მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, რამაც განაპირობა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა. მაგისტრატურის ძირითადი კონტიგენტი შედგება ინსტიტუციის ბაკალავრის კურსდამთავრებულებისაგან, შესაბამისად, მათი ცოდნა და უნარები სრულიად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. სხვა სპეციალობების სტუდენტს დაწესებულება სთავაზობს კურიკულუმის გარე აქტივობებსა და კონსულტაციებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც უზრუნველყოფს რომ აპლიკანტებს ჰქონდეთ ცოდნა ქიმიის მიმართულებით, რაც მასალათმცოდნეობისათვის ერთ ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ცალსახად მიეკუთვნება მასალათმცოდნეობის საკითხებს, კერძოდ შედუღების ვიწრო სპეციალიზაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის სახელწოდება პრობლემას არ ქმნის, თუმცა მისი დაზუსტება მუდმივად შესაძლებელია.

მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, ერთ-ერთ დამსაქმებელს წარმოადგენს მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი. პროგრამა თანამშრომლობს არა ერთ ორგანიზაციასთან და გაფორმებული აქვს ასევე მემორანდუმები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:14

დასრულების დრო: 16:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 2.6, 4.4, და 5.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო 3.1 კომპონენტს შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია მასალათა გამძლეობის თემები თავმოყრილ იქნას ერთ რომელიმე სასწავლო კურსში.
3. რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო პრაქტიკა შეიცვალოს საწარმოო პრაქტიკით, შესაბამისად შემუშავდეს საწარმოო პრაქტიკის რელევანტური სასწავლო კურსი, სწავლის შედეგების გაწერით და საკონტაქტო საათების გაზრდით.
4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობაში გათვალისწინებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება
5. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
6. რეკომენდირებულია შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსები „სხმული შენადნობების სტრუქტურა და თვისებები“, „წნევით შედუღება“ და „წინაღობით შედუღება“ მოყვანილ იქნას სწავლების საფეხურთან.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია მკაფიოდ გაიწეროს შეფასების სისტემა გადაწყვეტილების მიღებისათვის უცხო ენაში გასაუბრებისას.
2. რეკომენდირებულია სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსი.
3. სასურველია გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი.
4. სასურველია სასწავლო კურსის “დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). სილაბუსებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე მეტი ყურადღება დაეთმოს დარგთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას
5. ზოგიერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვადაგასულია და საჭიროებს ვადის გაგრძელებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწვეტილება N500, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532 (0532 Earth sciences)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას ქუჩა N 77 თბილისი 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 15 და 16 აპრილს. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა “Zoom Video Communications”) მეშვეობით. დაწესებულებაში - ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფით, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის თუ დამაზუსტებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმით. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების პროცესის განმავლობაში განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ვიზიტი ასევე მოიცავდა შეხვედრას დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და წარმომადგენლებთან; ინტერვიუს თვითშეფასების ჯგუფთან პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესის შესახებ და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღების მიზნით; ვიზიტის ფარგლებში - ინტერვიუ შედგა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. შეხვედრები მოიცავდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას. შეხვედრა განხორციელდა აგრეთვე ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან; შედგა ინტერვიუ დამსაქმებელთან. დაწესებულებაში, ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეტალური დათვალიერება; ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადი მიგნებები

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველსტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. კონცენტრაციის დასახელება „საბადოების გეოლოგია“ გულისხმობს ყველა სახის საბადოების გეოლოგიას, მათ შორის ნავთობისა და გაზის, რისი სწავლაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ამიტომ რეკომენდირებულია კონცენტრაციის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად; „მყარი წიაღისეულის საბადოების გეოლოგია“. როგორც ეს მოცემულია ბაკალავრიატის პროგრამაში.
2. პროგრამის სწავლის შედეგებში გაერთიანებულია პროგრამის ოთხივე კონცენტრაციის შედეგები. აუცილებელია კონცენტრაციების შედეგების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება. .
3. პროგრამის ბოლოს წინა შედეგში წერია: „...გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენებით ახდენს წარსული გეოლოგიური მოვლენების, პალეოგეოგრაფიული პირობების რეკონსტრუქციას“, რაც არასწორია და უნდა ამოღებულ იქნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. თუმცა კონცენტრაციის დასახელების შერჩევას ვხელმძღვანელობდით სწავლების სფეროების კლასიფიკატორით, სადაც ნავთობისა და გაზის საკითხები მოთავსებულია დეტალურ სფეროში 0724 „სამთო საქმე და მოპოვება“ - „შეისწავლის მინერალების/ სასარგებლო წიაღისეულის, გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასებასა და დედამიწის წიაღიდან მათი მოპოვების დაგეგმვას, განხორციელებასა და ხელმძღვანელობას“, რაც თავისთავად ზღუდავს დაწესებულებას დეტალურად შეეხოს ნავთობისა და გაზის გეოლოგიის საკითხებს. მიუხედავად ამისა, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს და შესაბამისად მოახდენს აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში არის რამოდენიმე ნაშრომი, რომელშიც ყველაზე ახალი არის 1970, 1978 და 1985 წლის ლიტერატურა. გარდა ამისა, ერთ ერთ ნაშრომში მხოლოდ 3 წყარო იყო მითითებული.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია მხოლოდ 6 რესპოდენტი, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრულიყო გამოკითხული დამსაქმებლების ვინაობა. გარდა ამისა ბიუჯეტის 14% განსაზღვრულია პროგრამის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული თანხა საკმარისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, ნინა თიკანაშვილმა აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა მდგომარეობაა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით და რა

პროექტებში არიან ჩართულნი სტუდენტები. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მეორე რჩევის განმარტებისკენ და პოზიციების დაფიქსირებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებობს საბადოები, რომლებიც შესწავლილია უკანასკნელად 60-იან წლებში. რიგი საბადოები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პრაქტიკულად არ შესწავლილა, ზოგიერთი მათგანის შესახებ ინფორმაცია კი დაცულია და არ არის ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ლუხუმის საბადოს, აღნიშნული საბჭოთა კავშირის შემდეგ გაუქმდა და შესაბამისად დახურულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომების ფარგლებში სტუდენტი ეყრდნობა პირველწყაროებს. კვლევები არ ტარდება ყოველწლიურად, შესაბამისად აუცილებელია გამოყენებული იქნას ძველი კვლევები. რაც შეეხება ნაშრომს, სადაც მხოლოდ სამი წყარო არის მითითებული, მოცემული წარმომადგენს ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ ნაშრომი საკმაოდ მოცულობითი და შინაარსობრივია, მასში გამოყენებულია მრავალი ლიტერატურა, თუმცა სტუდენტის მიერ არ იქნა ყველა ლიტერატურა ასახული და გადმოტანილი.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, მის ფარგლებში გამოკითხულ იყვნენ შემდეგი დამსაქმებლები: RMG, კავკასიის სამთო ჯგუფი, ტყიბულის სამთო ნახშირის ხელმძღვანელობა, ჭიათურ მარგანეცის ხელმძღვანელობა, გეოინჟინერინგი და გეოტექ სერვისი. მოცემული კომპანიები დაწესებულებასთან ინტესიურ კავშირში იმყოფებიან.

ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში ერთ სტუდენტზე გათვლილის აქვს ხარჯები, შესაბამისად ბიუჯეტში ასახულია ყველა დეტალი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად ასევე სამაგისტრო ნაშრომსა და ფინანსების მიზნით განსაზღვრული ბიუჯეტი მითითებულია ცენტრალურ ბიუჯეტთან. შესაბამისად აღნიშნული ხარჯები არ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ პროგრამის ბიუჯეტიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გეოლოგიის დეპარტამენტი ერთ-ერთი გამორჩეულია უნივერსიტეტის ფარგლებში შემოსავლების კუთხით. სტუდენტების აქტიურად ერთვებიან გაცვლით პროგრამებში. 21 ივნისიდან ერთი მაგისტრანტი და ერთი დოქტორანტი გაემგზავრება ერთობლივ პრაქტიკაზე სადაც ჩართულნი იქნებიან მშენებლები და ჩეხეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:05

დასრულების დრო: 17:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 2.6, 4.4, და 5.1 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო 3.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში გაერთიანებულია პროგრამის ოთხივე კონცენტრაციის შედეგები. აუცილებელია კონცენტრაციების შედეგების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება. რჩება
2. პროგრამის ბოლოს წინა შედეგში წერია: „...გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენებით ახდენს წარსული გეოლოგიური მოვლენების, პალეოგეოგრაფიული პირობების რეკონსტრუქციას“, რაც არასწორია და უნდა ამოღებულ იქნას ან რედაქციულად შესწორდეს.
3. კონცენტრაციის დასახელება „საბადოების გეოლოგია“ გულისხმობს ყველა სახის საბადოების გეოლოგიას, მათ შორის ნავთობისა და გაზის, რისი სწავლება პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ამიტომ რეკომენდირებულია კონცენტრაციის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად; „მყარი წიაღისეულის საბადოების გეოლოგია“, როგორც ეს არის საბაკალავრო პროგრამის შესაბამის კონცენტრაციაში.
- 4.. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
- 5.. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
6. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
7. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სამაგისტრო ნაშრომების სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, განსხვავებული საფასურის დადგენის შემთხვევაში, სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური ან სად შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება.

3. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს/წახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება. ამ სტრატეგიის განვითარებით, მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე თანახელმძღვანელებად განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა და/ან გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება;

4. სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად წესი, რომლის მიხედვით განისაზღვრება პროფესორს ერთდროულად, არა უმეტეს რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება.

5. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, აკადემიური პოზიციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვანი წარმართვის, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად და დატვირთვის სქემითვალისწინებდეს პერსონალის დატვირთვის და ვალდებულებებს სხვა დაწესებულებების მიმართ.

6 სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებას და ახალი კადრების მომზადებას. მითუფრო რომ უნივერსიტეტი ახორციელებს გეოლოგიის სადოქტორო პროგრამას და სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა ჩართულობის მაჩვენებელი სწავლების პროცესში.

7 სასურველია სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასება განხორციელდეს ფინალურ გამოცდებამდე, რათა გამოცდების შედეგებმა არ შეუწყოს ხელი სუბიექტურ განწყობებს და არ იქონიოს შეფასებაზე გავლენა.

8. მიზანშეწონილია ფაკულტეტს ჰყავდეს შესაბამისი ავტოტრანსპორტი საველე პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი აქტივობებისთვის.

9 ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ავტოტრანსპორტის შექმნის და შესაბამისი საექსპლუატაციო ხარჯები.

10 სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური

უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება - პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დახვეწისა და თანამედროვე ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

17:19 - საბჭოს სხდომა დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამედიცინო ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N85 29 მარტი 2019წ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამედიცინო ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ფიზიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფიზიკა 0533
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ. 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტირებულ პროგრამაში „სამედიცინო ფიზიკა“. დასკვნის პროექტში განხილული და გაანალიზებულია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. წარმოდგენილი ცვლილებები, რომლებიც გამოიწვია პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ, შესაბამისობაშია სტანდარტებთან. მნიშვნელოვანია, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „სამედიცინო ფიზიკა“ აკადემიური პერსონალი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. ინსტიტუცია საგანმანათლებლო პროგრამას თავისი ადამიანური რესურსით ახორციელებს და არ ჰყავს მოწვეული სპეციალისტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის რეაკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად კურსები „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ გადაყვანილია სავალდებულო საგანთა ნუსხაში. ეს ხელს უწყობს სტუდენტების კომპეტენციის გაზრდას სამედიცინო ფიზიკის მიმართულებით. მნიშვნელოვანია რომ პროგრამა ხორციელდება გერმანიის ფედერაციის კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:28

დასრულების დრო: 17:31

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - "სამედიცინო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: .სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N99, 17.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 22 - 23 მარტს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დაწესებულების მიერ წინასწარ მოწოდებული ვიდეო და ფოტო მასალის მეშვეობით. ასევე, დისტანციურად განხორციელდა სტუდენტთა მართვის სისტემისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება ზუმის პლატფორმის საშუალებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „დიფერენციალური გეომეტრია“, „მათემატიკური ანალიზი 1,2“ მეტი დრო დაეთმოს ტოპოლოგიის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი კურსების სწავლის შედეგების მიღწევას;
2. რეკომენდებულია მათემატიკის გამოყენებით მხარეზე ორიენტირებული სასწავლო კურსების დამატება, რაც ხელს შეუწყობს როგორც პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას, ასევე მათემატიკური მეთოდების შერჩევა/გამოყენებისა და მათემატიკური მოდელების გამოკვლევის პროცესს;
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და კომპონენტებით მეტწილად ორიენტირებულია მათემატიკის კლასიკური მიმართულებების ათვისებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე და არ ითვალისწინებს სავალდებულო კურსებში ისეთი აბსტრაქტული საკითხების/მიმართულებების დაფარვას, როგორცაა ტოპოლოგია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ექსპერტების რეკომენდაცია შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევის ხასიათს. აქვე დავძენთ, რომ მზად ვართ აღნიშნული

რეკომენდაცია ნაწილობრივ გავიზიაროთ და როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროსაც აღნიშნა, ტოპოლოგიის ძირითადი საბაზისო საკითხები დაემატება და განხილული იქნება სასწავლო კურსში - “დიფერენციალური გეომეტრია”. პროგრამაში ტოპოლოგიის თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული გამოყენების დეტალური შესწავლა უზრუნველყოფილია არჩევითი სასწავლო კურსების: “ტოპოლოგიისა და კომბინატორული გეომეტრიის ელემენტები” და “ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი” ფარგლებში. შესაბამისად, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტოპოლოგიის საკითხების დამატება სასწავლო კურსებში - “მათემატიკური ანალიზი I და II.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული აქვს, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია დებულების მოთხოვნებთან. რეალურად, საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 6 პერსონალი, 4 აკადემიური და 2 მოწვეული.

რაც შეეხება პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, საბჭოს წევრმა აღნიშნა „მათემატიკის საფუძვლებისა“ და „შესავალი მათემატიკურ ანალიზის“ სასწავლო კურსები და განმარტა, რომ მათემატიკის საფუძვლები ფარავს ძირითადი მათემატიკის საკითხებს, შესაბამისად დააზუსტა თუ რატომ არის საჭირო აღნიშნული კურსი საბაკალავრო საფეხურზე. მნიშვნელოვანია, რომ აბიტურიენტები თავიანთ კომპეტენციას მათემატიკაში ადასტურებენ ეროვნულ გამოცდებზე და რეალურად პროგრამაზე აუცილებელი საგანი იქნება მათემატიკა. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ „შესავალი მათემატიკურ ანალიზის“ სასწავლო კურსი ფარავს მათემატიკურ ანალიზში განსაზღვრულ გარკვეულ საკითხებს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ნამდვილ ცვლადთა თეორიის სასწავლო კურსი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა „ფუნქციათა თეორია და ფუნქციური ანალიზი“ სასწავლო კურსი და დაინტერესდა თუ რატომ განსაზღვრა დაწესებულებამ მოცემული საგანი არჩევით სასწავლო კურსად და არა სავალდებულო.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა დაპროგრამებასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებთან, რომლებიც ასევე არჩევითია და აღნიშნა, რომ შესავლ კურსები საჭიროებენ წინაპირობების არსებობას. კერძოდ აუცილებელია სტუდენტმა იცოდეს ინფორმატიკის საფუძვლები.

რაც შეეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, 8 საგანთან მიმართებით არის დადგენილი და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. მნიშვნელოვანია ასევე სწავლის შედეგების ფორმულირების საკითხები, კერძოდ არ არის ჩამოყალიბებული გაზომვადი ზმნებით, რაც უფრო გააადვილებდა შესრულების დაკვირვებას.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ იგი დააკვირდა სტუდენტთა პროგრესიას და ჩარიცხული 50 სტუდენტიდან პროგრამაზე სწავლა დაასრულა მხოლოდ შვიდმა სტუდენტმა, 12 სტუდენტს კი სტატუსი აქვს შეჩერებული. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამის მიხედვით არ არს გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომი, შესაბამისად საინტერესოა თუ როგორ პროგრამა კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონესთან დაკავშირებულ პრაქტიკულ შედეგზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-3 რეკომენდაციის და მოუწოდა ექსპერტებს მისი განმარტებისკენ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა, რაც არის სტანდარტის პირდაპირი მოთხოვნა. რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, მასში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე შეუძლებელია პროგრამის ფინანსური მდგრადობის დადგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს მოწვეული პერსონალი, ასევე ჩართულნი არიან დოქტორანტები. თუმცა მომავალში როდესაც შეიძლება სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდოს, აუცილებელია მოხდეს ასევე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გარზრდა. ამ ეტაპისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სამომავლოდ საჭიროებს გაზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროსაც აღინიშნა, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების ბლოკავსს დაემატება სასწავლო კურსი - “რიცხვითი მეთოდები I”. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააზუსტა, რომ პროგრამა პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნისა და დავალებების/პროექტების შესრულების გზით უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამასთან, ითვალისწინებს მათემატიკის გამოყენებით მხარეზე ორიენტირებულ ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა “მათემატიკური ფიზიკის განტოლებები”, “დაპროგრამება პითონში” და “მონაცემთა ანალიზი პითონის გამოყენებით”, ხოლო დამატებითი პროგრამის/თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ როგორც რიცხვითი მეთოდები II, ასევე ნებისმიერი სხვა სასწავლო კურსი ფაკულტეტის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საბაკალავრო პროგრამებიდან.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სტუდენტებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სრულ შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმთან და მეთოდოლოგიასთან. გარდა ამისა, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის “მათემატიკა” დოქტორანტები ჩართულები არიან პროგრამის განხორციელების პროცესში და ეს ტენდენცია ემსახურება რა სწავლებისა და კვლევის კომპონენტის ინტეგრაციას, შემდგომშიც გათვალისწინებული იქნება. გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული ხელს შეუწყობს მათემატიკის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, რაც სადოქტორო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რომ პირველი კურსის პირველ სემესტრში ისწავლება „მათემატიკის საფუძვლები“. აღნიშნული სასწავლო კურსის განსაზღვრა განპირობებულია იმით, რომ ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტებს მათემატიკის განსხვავებული კომპეტენცია აქვთ. კურსი კი უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას და შემდეგი სემესტრის სასწავლო კურსებისათვის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ კურსი არ არის სკოლის კურიკულიუმის განმეორება.

მნიშვნელოვანია ასევე გადაფარვის საკითხები, აღსანიშნავია „მათემატიკური ანალიზისა“ და „მათემატიკური ანალიზი 1“ სასწავლო კურსი. პირველკურსელისთვის რთულ¹ია თეორემის

დამტკიცების სწავლება, შესაბამისად საკმარისია ფორმულის სწავლება და მისი საშუალებით პრაქტიკული ამოცანების გაკეთება. ხოლო „მათემატიკური ანალიზი 1“-ის მეშვეობით სტუდენტები სწავლობენ თეორემების დამტკიცებას და ფორმულების გამოყენებას. ერთ სემესტრში საკმაოდ რთულია დიფერენციაციული აღრიცხვების და მწკრივების სწავლა, შესაბამისად მოხდა საკითხები გაყოფა და ორი სასწავლო კურსის განსაზღვრა. აღსანიშნავია ასევე, რომ ფუნქციათა თეორიის საკითხები ასევე მოცემულია მათემატიკური ანალიზის სასწავლო კურსებში. პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ფუნქციათა თეორიის ცალკე სასწავლო კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა დაპროგრამების ენებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კურსები აღებულია კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამიდან, სადაც მათ არ აქვთ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, კურსები არ ითვალისწინებენ რაიმე წინარე ცოდნას.

მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის სწავლის შედეგების საკითხი, კერძოდ დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები არის გაზომვადი. ამ კუთხით დაწესებულება დაეყრდნო საერთაშორისო ანალოგებს და კომპეტენციის მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომს არ აქვს გავლენა კომპეტენციის მახასიათებლებზე. გარდა ამისა, კვალიფიკაციათა ჩარჩო არ ადგენს საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულობას. პროგრამაში აუცილებელი კომპეტენციები განვითარებულია იმ კურსებში სადაც ჩადებულია პროექტები, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ანალიტიკური უნარების განვითარებას.

რაც შეეხება დასაქმების სფეროებს, მათი განსაზღვრისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორები. ერთი არის რა თქმა უნდა სტუდენტების მაჩვენებელი, ხოლო მეორე არის საერთაშორისო ტენდენციები და სტანდარტები. მოცემული პროგრამა ორიენტირებულია გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით, ამიტომ იქ სადაც არის შესაძლებელი გამოყენებული იყოს მათემატიკა, განისაზღვრება პროგრამის დასაქმების სფეროები.

მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, კერძოდ მათემატიკის მიმართულებით დასაქმების არეალი საკმაოდ დიდია. ბაზარიც საკმაოდ დიდი და განსაზღვრულია. დაწესებულების პრაქტიკიდან გამომდინარე, მათემატიკის სპეციალობის მქონე პირები აქტიურად საქმდებიან სხვადასხვა დარგებში. თუმცა დაწესებულება იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებებს, რადგან სტანდარტი ითხოვს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევის არსებობას. დამსაქმებელთა სია წარმოდგენილი იყო იქიდან გამომდინარე, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მომხდარიყო ბაზრის მოთხოვნების დადგენა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები განპირობებულია ბოლონის პროცესით. ნაწილი სასწავლო კურსების კი არის არჩევითი, ანუ სტუდენტს აქვს თავისუფლება 7 არჩევითი კურსიდან აირჩიოს 5 სასურველი, ხოლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული კურსებიდან 10.

რაც შეეხება დასრულების მაჩვენებელს, ბაკალავრიატის ფარგლებში საკმაოდ მაღალია სტატუსის შეჩერების ფაქტები, რისი მიზეზიც ხშირ შემთხვევაში არის ფინანსური დავალიანება. პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დაბალია გარე მობილობის ფაქტები. თუმცა საბოლოოდ ჩარიცხულთა 2/3 ამთავრებს საბაკალავრო პროგრამას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ინტეგრირებული განტოლებების კურსში განსაზღვრულია 2 შუალედური შეფასება და დასკვნითი პრეზენტაცია. თითოეული პედაგოგი თავის სასწავლო კურსში განსაზღვრავს

რელევანტურ და აუცილებელ შეფასების სისტემას. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კურსები ისწავლება დამამთავრებელ კურსზე, აუცილებელია სტუდენტმა გამოიყენოს პრეზენტაციის უნარები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:30

დასრულების დრო: 20:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2, 4.4 კომპონენტები და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორ „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „დიფერენციალური გეომეტრია“ მეტი დრო დაეთმოს ტოპოლოგიის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი კურსების სწავლის შედეგების მიღწევას;
3. რეკომენდირებულია მათემატიკის გამოყენებით მხარეზე ორიენტირებული/საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსების დამატება, რაც ხელს შეუწყობს როგორც პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას, ასევე მათემატიკური მეთოდების შერჩევა/გამოყენებისა და მათემატიკური მოდელების გამოკვლევის პროცესს.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში გაძლიერდეს კვლევითი უნარების შეფასების კომპონენტი.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი“ გადავიდეს არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო ბლოკში.
6. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

1. სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით ;
2. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვეში ანგრიშს წარდგენით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N100, 17.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	

		3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 22 - 23 მარტს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დაწესებულების მიერ წინასწარ მოწოდებული ვიდეო და ფოტო მასალის მეშვეობით. ასევე, დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით, განხორციელდა სტუდენტთა მართვის სისტემისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 3 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში „პოტენციალთა მეთოდი დრეკადობის თეორიაში“, „პოტენციალთა მეთოდი მათემატიკურ ფიზიკაში“, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცადინეობის სალექციო ფორმა ჩანაცვლდეს ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების ან სხვა მსგავსი კომბინირებული ფორმით;
2. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს მხოლოდ შესაბამისი მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლებისა და შეფასების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კურსებში გათვალისწინებულია სწავლების ისეთ მეთოდები, როგორცაა ინტერაქციული ლექცია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს საკითხის განხილვისა და დისკუსიის პროცესში და სტუდენტთა მიერ წინასწარ შერჩეული თემის შესახებ პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა. ამავდროულად, ორივე სასწავლო კურსის შუალედურ და დასკვნით შეფასებებში გათვალისწინებულია რელევანტური შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, პროგრამის განხორციელების მანძილზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ყოველთვის იყო დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მითითებული ჩამონათვალი უკვე დარედაქტირდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა და ბიუჯეტი არა ცხადად არის წარმოდგენილი. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ გაეცნო სამაგისტრო ნაშრომებს. ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომი რომელიც ეხებოდა მათემატიკის საფუძვლებს, ძირითადად შედგებოდა ისტორიული ექსკურსისგან. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, რამდენად რელევანტურია მსგავსი ტიპის ნაშრომები მოცემული სამაგისტრო პროგრამისთვის.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს მიმოეხილათ სამაგისტრო ნაშრომები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა გამოყო „წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისა“ და „არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების“ სასწავლო კურსები, კერძოდ აღნიშნა, რომ სილაბუსებში მოცემული რიგი საკითხები საბაკალავრო დონისაა და არის გადაფარვები, თუმცა გამოიყენება განსხვავებული ლიტერატურა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა სამი სამაგისტრო ნაშრომი, სადაც დასმული საკითხები იყო სრულიად შესაბამისი სამაგისტრო საფეხურთან.

რაც შეეხება სასწავლო კურსების გამეორებას, საბაკალავრო საფეხურის სასწავლო კურსებში კონკრეტული საკითხები აღწერთი ფორმით არის განსაზღვრული, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე კურსები გავრცობილი და დეტალიზებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები სხვადასხვა დონის შეიძლება იყოს, რაც თავად სტუდენტზეა დამოკიდებული. თუმცა პროგრამის ფარგლებში შესრულდა სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც შემდგომ იქნა გამოქვეყნებული.

რაც შეეხება თემატიკის გადაფარვის საკითხს, მოცემულ სილაბუსებში ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა დონეზე განიხილება, რაც თავად კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარეობს. რაც აბსოლუტურად ბუნებრივია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებზე მუშაობისას დაწესებულება იყენებს საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:35

დასრულების დრო: 19:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2, 4.4 და 5.1 კომპონენტები და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორ „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსებში „პოტენციალთა მეთოდი დრეკადობის თეორიაში“, „პოტენციალთა მეთოდი მათემატიკურ ფიზიკაში“, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცადინეობის სალექციო ფორმა ჩანაცვლდეს ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების ან სხვა მსგავსი კომბინირებული ფორმით

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსები „წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები“, „არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები“ შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.

4. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს მხოლოდ შესაბამისი მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

5. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

6. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

7. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის სათანადოდ უზრუნველსაყოფად.

რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

1. სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით.
2. სასურველია პროგრამაზე დაშვების ერთერთი წინაპირობა - „ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში ან მონათესავე დარგებში“ ჩამოაყალიბდეს უფრო კონკრეტულად, ვინაიდან ტერმინი „მონათესავე“ ამ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას.
3. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. სასურველია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი დონის უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის შესწავლის საშუალება არჩევითი სასწავლო კურსების სახით.
5. სასურველი იქნება თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოხდება მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ, ხოლო ხელმძღვანელი ამ პროცესში არ მიიღებს მონაწილეობას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

7.მეშვიდე საკითხი : შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N58, 27.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	260
14	განხორციელების ადგილი	ფრიდონ ხალვაშის გამზირი N237, ბათუმი, 6000, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოადგინა 28.12.2020, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 9 თვეში ანგარიშის წარდგენის დათქმით.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რეკომენდაციების განხილვის და შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, მოიწვია ფაკულტეტის საბჭო, სადაც გადაწყდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც დაევალა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად რეკომენდაციების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების მომზადება. სამუშაო ჯგუფის მიერ დაორგანიზდა შეხვედრები იმ სასწავლო კურსის ლექტორებთან, რომელიც საჭიროებდნენ გადახედვას და კორექტირებების შეტანას.

კურსდამთავრებულების სწავლის გაგრძელების და დასაქმების შესახებ პროგრამაში არსებული ჩანაწერი, უნივერსიტეტის მოსაზრებით, არ საჭიროებს ცვლილებას, შესაბამისად არ განხორციელებულა კორექტირება.

„საექიმო საქმიანობის შესახებ კანონში“ ვკითხულობთ „განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას“, ხოლო წარმოდგენილი პროგრამა ამბობს, რომ „აქვს უფლება განახორციელოს პედაგოგიური და/ან კვლევითი საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო პრაქტიკას“. სამედიცინო პრაქტიკასა და საექიმო პრაქტიკას შორის არის განსხვავება კომპეტენციების დონეზე. სამედიცინო პრაქტიკას ეწევა ექთანიც და ექთნის ასისტენტიც. კანონმდებლობით ამ ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთების უფლება აქვთ მედიცინის კურსდამთავრებულებს. ასევე „კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაირიცხონ დიპლომისშემდგომ პროფესიული განათლების სატრენინგო პროგრამაზე“ მსგავსი დეფინიცია დიპლომისშემდგომ განათლებაში არ გამოიყენება. არსებული უზუსტობები შეიძლება გახდეს გაუგებრობის მიზეზი. ამიტომ მეტი სიცხადისთვის რეკომენდირებულია ჩასწორება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს ზოგიერთი კურსის სათაური;
2. მოხდეს თემების უკეთ სინქრონიზაცია კონკრეტულ სილაბუსებში;
3. მოხდეს სტუდენტის სამუშაო დატვირთვის ხელახალი შეფასება და საკონტაქტო საათების გაანგარიშება;
4. საჭიროა მიეთითოს (საქართველოს კანონდებლობის საფუძველზე), თუ რა პოზიციებზე შეუძლიათ კურსდამთავრებულებს მუშაობა სწავლის დასრულების შემდეგ;
5. საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს პერსონალის დატვირთვის სქემა;
6. გამოცდის გადაბარების წესი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი არსებულ კანონმდებლობასთან;
7. რეკომენდირებულია პათოლოგიის ლაბორატორია შეიცავდეს მაკრო ნიმუშებს (პათოლოგიური ნაწილები ქილებში და არა მხოლოდ სლაიდები);

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ჯმიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება გარდა მე-4 რეკომენდაციისა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა“, სადაც ეწერა აღნიშნული ინფორმაცია, კერძოდ, „უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე (განათლების მეორე, მესამე და დიპლომის შემდეგი განათლების ეტაპები) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებში და აქვს უფლება განახორციელოს პედაგოგიური და/ან კვლევითი საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო პრაქტიკას. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაირიცხონ დიპლომისშემდგომ პროფესიული განათლების სატრენინგო პროგრამაზე (ან შესაბამის რეზიდენტურის კურსზე საზღვარგარეთ) და შემდეგ ჩააბაროს სასერთიფიკატო გამოცდა, მიიღოს დამოუკიდებელი კლინიკური საქმიანობის ნებართვა. პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: როგორც უმცროსი ექიმი ჯანდაცვის და სამედიცინო სფეროში, შეასრულოს ექიმის მოვალეობები დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების მქონე პრაქტიკოსი ექიმის ზედამხედველობისა და ინსტრუქციების თანახმად; როგორც მასწავლებელი ან მკვლევარი საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებში; ჯანდაცვის სფეროში, სამედიცინო და ჯანდაცვის დაწესებულების მართვის რგოლებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას; როგორც უმცროსი ექიმი ეროვნულ და საერთაშორისო ფარმაცევტულ ინდუსტრიაში და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრებში“ .

რაც შეეხება პათოლოგიურ სლაიდებს, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება გათვალისწინებულია სამომავლო პერიოდისთვის, ვინაიდან პანდემიის პერიოდში გარკვეული შეფერხებები წარმოიშვა პათოლოგიური ორგანოების შესამენად მომწოდებლებთან კომუნიკაციაში. პათოლოგიური მაკრო ნიმუშები შეძენილი იქნება მიმდინარე სემესტრში, სტუდენტთა ლაბორატორიულ სამუშაოებზე დაშვების პროცესის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის განსაზღვრა არ არის საჭირო. გარდა ამისა ასევე არ იკვეთება ტერმინოლოგიური აღრევა და შეუთავსებლობა.

აღსანიშნავია ასევე რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ორგანოები უნდა იყოს ქილებში, რაც თამანდროვე მედიცინაში არ არის რელევანტური.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:45

დასრულების დრო: 20:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო საფეხურზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 11 ივნისს 20:55 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

